

**ჰოლიზონტური მდერის ტრადიციული კულტურა და  
ინტერაერსონალური თანამშრომლობა ჩრდილოაზოსავლეთი ინდოეთის  
ეთნიკური უმცირესობის — ჩახესაგის ნაგას ტომში**

როგორც უორდანიამ აღნიშნა (2010), აზის ვოკალურ პოლიფონიას მეცნიერები ნა-კლებად აქცევენ ყურადღებას. ამიტომ, არაა გასაკვირი, რომ სამხრეთ აზის რეგიონული ხალხური მუსიკის სფერო, კერძოდ, ვოკალური პოლიფონია ეთნომუსიკოლოგიურად არასაკმარისადაა გამოკვლეული. გამონაკლის წარმოადგენს კაუფმანისა და შნაიდერის კვლევები ჩრდილოაზოსავლეთი ინდოეთის ნაგას ძირველი ტომის მუსიკის შესახებ (Kauffmann and Schneider, 1960). ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში ნაგას ტომი ინდოეთისაგან დამოუკიდებლობისათვის იბრძოდა და მონაწილეობდა ინდოეთის არმიის უზარმაზარ კონტინგენტთან შეიარაღებულ კონფლიქტში. 2011 წლამდე უცხოელთა შესვლის აკრძალვა აბრკოლებდა საველე სამუშაოებს ამ რაიონში. 2012 წლიდან მე ვხელმძღვანელობდი კვლევას ამ რეგიონში ექსპედიციის მონაწილეების დაკვრვებებზე, ინტერვიუებსა და ხმის ჩანაწერებზე დაყრდნობით. ამგვარად, შევისწავლე ჩახესანგის ნაგას ტომის სასიმღერო კულტურა ლი, რომელიც ინახავს ვოკალური პოლიფონიის ყველაზე მდიდარ ტრადიციას ნაგას ყველა სხვა ტომის შორის. ამ სტატიის მიზანია სასიმღერო კულტურა ლი-ს დამახასიათებელი თავისებურებებისა და მისი ზეპირი გადაცემის სტაბილური და განვითარებადი ილემენტების დემოსტრირება, ასევე, მსჯელობა ლი-ს, როგორც ინტერპერსონალური თანამშრომლობის ფორმის სოციალურ როლზე სოფელ ჩახესანგ-ნაგას მოსახლეობაში.

**ისტორიული ცნობები ნაგას ტომების შესახებ**

ნაგას ტომების ისტორია ტანჯვითაა საცხე. ძნელბედობა დაიწყო ბრიტანეთის იმპერიის მიერ მათი მიწების კოლონიზაციით 1878 წელს. 1944 წელს, მეორე მსოფლიო ომის დროს, რეგიონის ჩრდილოეთ ნაწილში გაიმართა კოპიმას ბრძოლა, სადაც ბრიტანელი ინდოელების ჯარები იბრძოდნენ იაპონელების წინააღმდეგ. ნაგების ინტენსიური გამათავისუფლებელი მოძრაობა 1940-იან წლებში დაიწყო და 1947 წლის 14 აგვისტოს ეროვნულმა ლიდერმა ფიზომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. თუმცა, დამოუკიდებლობის მოპოვების ამ წარუმატებელმა მცდელობამ რეგონის ორ, საერთაშორისო საზღვრით გაყოფილ ნაწილად — ინდურად და ბირმულად — გახლება გამოიწვია. მას შემდეგ ინდოეთის ნაგები კვლავ განაგრძოს ენერგიულ ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის. 1950-იან წლებში ინდოეთის არმია ანარმობდა შეიარაღებულ კონფლიქტს ნაგების წინააღმდეგ. ასობით სოფელი დაწვა და განადგურდა, სოფლის მოსახლეობა ჯარისკაცებივით იბრძოდა ინდური არმიის წინააღმდეგ. 1963 წელს ინდური ნაგას რეგიონებს ნაგალენდის შტატი ენოდა (სურ. 1). ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების შემდეგ, 1997 წელს, ნაგალენდის ხელისუფლებამ დაიწყო სწრაფვა მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური ზრდის ორიგინალური სტრატეგიისა და მშვიდობიანი საზოგადოების ჩამოყალიბებზე. ამის მიუხედავად, ნაგას ხალხი ძველებურად წინააღმდეგობას გრძნობს საკუთარ იდენტობასა და ინდოეთის მოქალაქეების შორის.

ნაგა ინდო-მანმარის საზღვართან მცხოვრები ინდო-მონღოლოიდური წარმოშობის რამდენიმე სატომ უმცირესობის გაერთიანების საერთო სახელია. ინდოეთის

მოსახლეობის 2011 წლის აღნიშვნის თანახმად, ნაგალენდის მოსახლეობა შეადგენს 198 602 ადამიანს, მათ შორის, 84,2% ნაგაა. ნაგალენდის ხელისუფლებამ აღიარა ნაგას 14 ტომი. რომელიც მმოსახლეობის შემცირების ტენდენციას განიცდიან: კონიაკ ნაგა, სემა ნაგა, აო ნაგა, ლოთა ნაგა, ჩახესანგ ნაგა, ანგამი ნაგა, სანგტამ ნაგა, ზელიანგ ნაგა, ინჩუნგერ ნაგა, ჩანგ ნაგა, რენგმა ნაგა, ხიამნუნგამ ნაგა, ფომ ნაგა და პოჩური ნაგა.

ეს სტატია ჩახესანგ ნაგას ეძღვნება. ნაგალენდში ასამურისა და ბენგალურისაგან ნანარმოებ საერთო ენაზე, ნაგამესეზე, საუბრობენ, რადგან ნაგას ცალკეული ტომების ძირძელი ენები ძალიან განსხვავდებულია ერთმანეთისაგან. ნაგას ყველა ტომის საზოგადოებაში ადამიანები მჭიდრო ურთიერთობას ინარჩუნებენ ერთმანეთთან არა მარტო სოფლად, არამედ ქალაქებშიც, სადაც მიგრირებულნი არიან. შესაბამისად, ნაგა — ესაა ეთნიკური კონცეფციის ტიპი ერთიანობისა მრავალფეროვნებაში, რომელიც ჩამოყალიბდა წინააღმდეგობრივი გამოყდილების საფუძველზე. ნაგას იდენტობა მრავალშრიანია: ერთი მხრივ, ისინი განსხვავდებიან ინდივიდუალური მეორე მხრივ კი — განსაკუთრებული არიან ნაგას სხვა ტომებისგანაც (სურ 2).

### **ნაგას ტრადიციები და ქრისტიანზაფია**

ნაგას ტრადიციული საზოგადოება ეგალიტარულ ურთიერთობებს ემყარება, სადაც არ არსებოს იერარქიული სოციალური კლასი. გაონ ბურას-ის (სოფლის უხუცესები) პარლამენტარული მართვის სისტემა აქ მტკიცედ დამკიდრდა ბრიტანული კოლონიზაციის პერიოდში. ნაგას ყველა ტომი, ტრადიციულად, ანიმიზმისა და თავებზე ნადირობას მისდევდა. მაგალითად, ნაგას სჯეროდა, რომ მეგალითებს აქვთ სულები, ხოლო ცხოველების სკალპები გამოფენილი ჰქონდათ სახლის შესასვლელ კართან ბოროტებისაგან თავდასაცავი ამულეტების სახით. თავებზე ნადირობას მიმართავდნენ, ასევე, სოფლებისა და სანადირო მიწების მეზობელი მტრებისაგან დასაცავად. ეს მნიშვნელოვნი იყო, როგორც ვაჟეკაციის მიღწევის რიტუალიც. ტრადიციულ საგანმანათლებლო სისტემაში სახელწოდებით მორუნგ, ბიჭები საერთო საცხოვრებელში ცხოვრობდნენ და ეცნობოდნენ ისეთ ტრადიციებს, როგორიცაა ნადირობა, რიტუალური ქმედებები, ტატუირება, ცეკვა და სიმღერა. ამ უდამნერლობო საზოგადოებაში ასეთი სისტემა აუცილებელი იყო მემკვიდრეობითი ფოლკლორის, წინაპართა ისტორიის, ასევე, ნაგას ხალხისთვის აუცილებელი ცოდნისა და უნარების გადაცემისათვის. თუმცა, ქრისტიანობის შემოსვლის შემდეგ სისტემა მორუნგ გაქრა.

დღესდღობით, ნაგალენდის მოსახლეობის დაახლოებით 75% ქრისტიან-ბაპტისტია. პირველი ბაპტისტური ეკლესია ამ რეგიონში 1872 წელს დაარსდა ამერიკელი მისიონერს, ედვინ კლარკის მიერ (1839—1913). ბაპტისტური დოქტრინა მარტივად ვრცელდებოდა მთელ რეგიონში ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. სკოლები და ბაპტისტური ეკლესიები თანდათან ნაგას სოფლების ცენტრებად იქცა. თანამედროვე ნაგალენდში საკვირაო მსახურებები ადგილობრივ ტომთა ენაზე სრულდება, თუმცა, სოფლის მოსახლეობა პიმნებსა და გოსპელებს ევროპული ფუნქციონალური პარმონით მღერის.

რამ განაპირობა ნაგას ასეთი აბსოლუტური მოქცევა ბაპტისტ-ქრისტიანობაზე? ეგალიტარიზმისა და დემოკრატიაზე დაფუძნებული ტრადიციული სოციალური სტრუქტურის გათვალისწინებით, ნაგას არ გაუჭირდებოდა ბაპტისტური ეკლესიის კონგრეგაციონალიზმზე მოქცევა. მაგალითად, ბაპტისტები პასტორებს საკუთარი ტომიდან ირჩევენ, ეკლესია კი ხელს უწყობს მათი დემოკრატიულობის შენარჩუნებასა და მსახურებაში ადგილობრივი ენების გამოყენებას. გარდა ამისა, ბაპტისტურმა ეკლესიამ ნაგა თავისი მუსიკითაც დააინტერესა. ტრადიციულად, ერთად შეღერა ადგილობრივი ვოკალური პონიფონიის ტრადიციებით ნაგას ცხოვრების განუყოფელი ნაწილი იყო. ამგვარად, საეკლესიო მღერის შერეული საგუნდო სტილისადმი დიდმა ინტერესმა ნაგას

ქრისტიანებად მოქცევაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. ქალაქურ რაიონებშიც კი ნაგას ყოველ ტომს საკუთარი ბაპტისტური ეკლესია აქვს, რაც ხელს უწყობს ნაგას ტომბრივი საზოგადოებებისა და სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებას.

### **ლი-ს ტრადიციული პოლიფონის მახასიათებლები**

2011 წლის აღწერის თანახმად, ჩახესანგ-ნაგას მოსახლეობა 154 874 ადამიანს ითვლის. მათი უმრავლესობა, ნაგალენდის სამხრეთ ნაწილში მდებარე ფეეკის რაიონის მთიან სოფლებში, თავს სოფლის მეურნეობით ირჩენს. ჩახესანგი სამი სუბ-ტომის საერთო სახელია, რომლებიც საუბრობენ ენებზე — ჩოკრი, ხეჯა და სანგტამი. სახელი ჩახესანგი ამ სამი სახელის პირველი მარცვლების შერწყმითაა მიღებული და 1945 წელს დამკიდრდა.

ჩემი გამოკვლევები ეძღვნება სასიმღერო ტრადიციას ლი ჩოკრის ენაზე. ნაგას ყველა სხვა ტომის შორის, ჩოკრის ენაზე მოსაუბრებს შემორჩათ ვოკალური პოლიფონის ყველაზე მდიდარი ტრადიცია, ერთი მხრივ, ასამისა და ბირმის კულტურული ზეგავლენისაგან თითქმის სრული თავისუფლების გამო, მეორე მხრივ კი, ამ ენაზე მოსაუბრე მოსახლეობის ქრისტიანობაზე შედარებით გვიანი და ნელი (1970-იანი წლებიდან) მოქცევის გამო.

დღესდღობით ლი-ს ნაირგვარ პოლიფონიურ ვარიანტებს ხშირად ასრულებენ სოფლის ქალები მთიან ბრინჯის მინდვრებში ერთობლივი მუშაობის დროს. პირველ რიგში, გიჩვენებთ ლი-ს ორიგინალურ მუსიკალურ ელემენტებს, რომლებიც ჩავინერე მინდვრის სამუშაოების დროს სოფლებში ტიპურ და ფუსარიდუ. ლი იმდერება მინიმუმ ორი და მაქსიმუმ რვა შერქეული ხმის მიერ და ყოველი ხმა სახელდებულია მათი რეგისტრის შესაბამისად — შული, ურე, რესო, ბოტიჟ და ა.შ. ყველა პარტია სრულდება ერთ რიტმი ერთი ტექსტით. ზოგჯერ ემატება რიტმული ზუზუნი ძალიან დაბალ ტონში. ლი არ არის პარალელური პოლიფონია, თუმცა ხშირად გვხვდება პარალელური კვარტები, კვინტები და ოქტავები. ლი-ს რეპერტუარი ორგვარია: 1) თავისუფალი რიტმის ლი და 2) ტატი პულსირებული რიტმით (სურ. 3).

**1) თავისუფალი რიტმის ლი.** ამ რეპერტუარის სიმღერები *a cappella* სრულდება და მათი გამორჩეული თავისუბურებაა ნელი ვიბრატოს გამღერება მაყორული სეკუნძის გახანგრძლივებით. თუ ტონიკად C-ს მოვიაზრებთ, ყოველი პარტია ირჩევს სამ ან ოთხ ნოტს C, D და G-დან 3 ოქტავაში (მაგ. 1). E და A გამოიყენება მხოლოდ ვიბრატოებში D-E ან G-A, დასავლური ტრელების მსგავსად. შედეგად, ყველა ხმა თავის პარტიაში ტოვებს გამის მეოთხე და მეშვიდე საფეხურებს. მაგალითა 2 არის ტიპური სიმღერა ლი წმინდა კვარტისა და კვინტის ჰარმონიული ვიბრატოს ტექსტურით. სოფლის საეკლესიო ჰიმნებში მაყორული სამხმოვანება არ გამოიყენება.

**2) ტატი პულსირებული რიტმით.** ამ ტიპის სიმღერები აკომპანირებულია სიმებიანი ინსტრუმენტით სახელნოდებით ტატი (სურ. 4). საკრავს გოგრისაგან დამზადებული ჯამისმაგვარი მუცელი აქვს, რომელზეც ღორის გაწელილი ნაწლავებია გადაკრული. თხელი ბამბუკის ყელზე გაჭიმულია ღოთონის სიმი, ხოლო ჯორაკი დამზადებულია ღოპიკინის ნიჟარისაგან, რომელსაც სოფლელები ამრავლებენ და ჭამენ. ტატიზე დაკრისას მრავალგზის იმეორებენ ორბერიან მარტივ რიტმულ მოტივს (მაგ. 3. 4). ტონიკა მიღება სიმზე მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითის გამოვრით, ხოლო სხვა ნოტი — ა მარცხენა ხელის თითის მსუბუქი შეხებით. ინტერვალი ამ ნოტებს შორის ყოველთვის დიდი ან პატარა სექსტაა. მაგალითად, თუ ტონიკა არის C, მეორე ნოტი იქნება A ან As. ტატით თანხლებულ სიმღერებში თითოეული პარტიის შემსრულებელი ირჩევს სამიდან ხუთ ბერამდე C, D, G და A-დან 3 ოქტავაში. საინტერესოა, რომ E და A გამოიყენება, როგორც ბუნებრივი, ისე დადაბლებული სახით, ხოლო ბერათა სიმაღლეები მნიშ-

ვნელოვნად განსხვავდება თანაბარტემპერირებული ბეგერებისაგან. მაგალითი 3 გვიჩვენებს ტატით თანხლებულ სიმღერას სოფლელი ბავშვების შესრულებით პარტიებით ურედა რესო. ეს პარტიები მსგავს მოძრაობებზეა აგებული და წმინდა კვარტისა და კვინტის ინტერვალებს ემყარება. ბავშვები ამგვარი მარტივი მოძრაობების გამოყენებით იწყებენ სწავლას, შემდეგ კი ეუფლებიან ირიბი და შემხვედრი მოძრაობის ტექნიკას, რომელიც ნაჩვენებია მაგალითებზე 2 და 4. გარდა ამისა, ტატით თანხლებულ ზოგიერთ სიმღერაში კანონური პოლიფონია გამოყენებული. მაგალითი 4 გვიჩვენებს, რომ ორი პულსის შემდეგ პირველა ჯგუფის ურე-ს პარტიის მელოდია იმიტირებულია მეორე ჯგუფის ურე-ს პარტიის მიერ.

ჩოკრის ენაზე შესრულებული სიმღერების ტექსტები შექმნილია ფიქსირებული ლექსებისგან, რომლებიც 4 და 5 მარცვლიანი, ორი, ურთიერთმონაცვლე ფრაზისაგან შედგება. მაგალითი 5 ტრადიციული სასიყვარულო სიმღერაა. მისი პირველი ნაწილის ყოველი სტროფის რითმა მასში ჩასმული სიტყვით “ha Shevüli” (ჩემი შეყვარებული) სასამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს. ტატით თანხლებულ სიმღერებში სტროფები მრავალგზის მეორდება (იხ., ასევე, მაგ. 3).

ლი-სა და ტატით თანხლებული სიმღერების ტექსტები შინაარსის მრავალფეროვნებით გამოირჩევა და მოიცავს სასიყვარულო, პასტორალურ, საპრძოლო, საგმირო, სამგლოვიარო და სხვა თემატიკას. მაგალითი 6 წარმოადგენს სიმღერის ტექსტს, რომელიც გადმოგვცემს სამი ბიჭუნას მეგობრობას. ისინი ოდესლაც მორუნგში ცხოვრობდნენ. ორი მათგანი შეჰყურებს ლამის ცას და აკვირდება სამ ვარსკვლავს ორიონის ცენტრში, ფიქრობენ მესამე, გარდაცვლილ ბიჭუნაზე და ინტერესდებიან, ენატრება თუ არა მას ისინი და მორუნგის ცხოვრება.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, სოფლელი ბიჭუნები სიმღერებს ტრადიციულად მორუნგის უხუცესებისგან სწავლობდნენ, ხოლო გოგონები — ბრინჯის მინდორში მუშაბის დროს. სოფლის ტრადიციის ახალგაზრდებისათვის გადაცემის შესაძლებლობა იყო ყოველ იანვარში, 7 დღის მანძილზე საგანგებოდ გამართული განწმენდის ცერემონია სახელწოდებით სუჟურნი — ჩახესანგ-ნაგას ყველაზე დიდი დღესასწაული. სიმღერები ეხმარებოდა ახალგაზრდებს, არა მარტო ტრადიციების შეთვისებაში, არამედ ისტორიისა და ფოლკლორის შეცნობაშიც. სამწუხაროდ, ზოგიერთ სოფელში ასეთ ტრადიციულ სასიმღერო კულტურას ქრისტიანიზაცია და მოდერნიზაცია დაკარგვის საფრთხეს უქმნის. დღეს იმ სოფლებში, რომელიც მე ვმუშაობ, ლი-ს ძირითადად ქალები ასრულებენ და იშვიათად — მამაკაცები, რომლებიც ხშირად მიემგზავრებიან სოფლიდან უმაღლესი განათლების მისაღებად ან სამუშაოდ. მე გამოვიყვლიე ზეპირი გადაცემის მდგრადი და განვითარებად ელემენტები, გავაანალიზე სიმღერების მუსიკალურ და ვერბალური ტექსტები, რის შედეგადაც აღმოგაჩინე, რომ ლი-ს ტრადიციული მუსიკალური ელემენტები ძველებურად გადაცემა მეტყვიდრეობით, მაგრამ ახალგაზრდებს უჭირთ თავისუფალი რიტმის ლი-სა და ტატით თანხლებული რთული სიმღერების შესრულება, მაგალითად, კანონური პოლიფონიის ნიმუშებისა, მათი ღრმად შესავლის შესაძლებლობის არქონის გამო. გარდა ამისა, საპრძოლო ან სამგლოვიარო (დაკრალვასთან დაკავშირებული) თემატიკის სიმღერები უკვე აღარ სრულდება. მათი ტექსტები ქრისტიანობის გავლენით შეიცვალა (მაგ. 7).

### პოლიფონიური მღერა და ინტერპერსონალური თანამშრომლობა

რამ განაპირობა ჩახესანგ-ნაგას საზოგადოებაში პოლიფონიური მღერის ფორმირება? ამ კოთვის პასუხად ლი-ს ხშირად განმეორებადი ტექსტი შეიძლება გამოდგეს: “*Ne hi mo zho, Hanü di yo le*” („უჟენოდ არ ვარ ბედნიერი“). ამ სტრიქონს მრავალგვარი ინტერპრეტაცია აქვს. ეს არამარტო გზავნილია შეყვარებულისათვის, არამედ მეტაფორაა

იმის შესახებ, რომ არ შეიძლება მარტო მღერა და, რომ ბედნიერება ერთობლივ მღერას მოაქვს. ესაა, ასევე, მეტაფორა ჩახესანგის სოციალური სისტემისა, რომელიც ინტერ-პერსონალურ თანამშრომლობას ემყარება. მაგალითად, ჩახესანგ-ნაგას სოფლის ყველა მაცხოვრებლისთვის აქვს საერთო-სახალხო დღესასწაულის ტრადიციული ჩვეულება, რომლის ფარგლებში ერთ-ერთი ცოლ-ქმარი უმასპინძლდება თანასოფლელებს ნაირგვარი კერძებითა და ბრინჯის ლუდით. ამგარა მასპინძლობის სამჯერ შესრულების შემთხვევაში ცოლ-ქმარს აღიარებენ სოფლის ცხოვრებაში შეტანილი წვლილისათვის; აძლევენ უფლებას, ატაროს საგანგებოდ მოქარებული შალი და სოფელში გამოფენენ ქვას, რომელიც წყვილის სიმბოლოდ იქცევა. სხვაგვარად რომ ვთქათ, ჩახესანგის ნაგა ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნავს საზოგადოებისათვის გაწეული ღვაწლისა და ურთიერთმხარდაჭერის მნიშვნელობას.

იაპონელმა ეთნომუსიკოლოგმა კოიძუმიმ (1984) აღნიშნა, რომ თავებზე ნადირობის<sup>1</sup> ტრადიციების მქონე კულტურებში პოლიფონიური მღერის მდიდარი ტრადიციები შეინიშნება და ეს დაკავშირებულია მათი სიცოცხლის შენარჩუნებასთან. მართლაც, ტაივანის ძირძევლი ეთნიკური ჯგუფი ბუნუნი ასრულებდა განსაკუთრებულ სიმღერას თავებზე სანადიროდ ნასვლის წინ, ხოლო იგოროტებს ფილიპინების ჩრდილოეთ ლუსონიდან ჰერნდათ გონგების პოლიტირმული ანსამბლის გამოყენების ჩვეულება თავებზე ნადირობის დროს. ზუსტად ასევე, ჩახესანგის ნაგას ოდესაც ჰქონიათ სიმღერა თავების ძებნის შესახებ, თუმცა დღეს ის დაკარგულია. ამის მიუხედავად, ვიტყოდი, რომ ლი-ს შემთხვევაში ეს უფრო მეტად უკავშირდება გეოგრაფიულ გარემოს და შრომის ტრადიციულ კოოპერაციულ სისტემას. ჩახესანგ-ნაგა მდებარეობს მთიან ტერიტორიაზე, ირგვლივ ბრინჯის ტერასული მინდვრები აკრავს და ბრინჯის მოყვანა-დამუშავება-აღება-დანინვებასთან დაკავშირებული პროცესების უმრავლესობა ხორციელდება ახლო მეგობრების ჯგუფების მიერ, სამეურნეო მანქანებისა თუ მშრომელი პარუტყვის გარეშე. ამ ჯგუფებს *Müle*-ს უწოდებენ. ტერასებზე მძიმე სამუშაოების დროს, თუ ვინმე ნამოინყებს ლის მუშაობის რიტმში, მას აუცილებლად აჰკვებიან *Müle*-ს წევრები სხვადასხვა სასიმღერო პარტიით. ერთობლივი სიმღერა ლი ზრდის მუშაობის ეფექტურობას და ამსუბუქებს დაღლილობის შეგრძნებას. მაგრამ ლის ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქცია სოლიდარობის მხარდაჭერა, ურთიერთდახმარების სისტემის ჩამოყალიბება და ინტერპერსონალური თანამშრომლობა.

### **გამოწვევა — მუსიკალური ტრადიციების აღორძინება და მომავალი თაობისათვის გადაცემა**

ერთი შეხედვით, სოფლის ახალგაზრდობის ქალაქში გადინებისა და ტრადიციული სოფლური რიტუალებისა თუ ფესტივალების შემცირების გამო, ნაგა დადგა ზეპირი ტრადიციის გადარჩენის პრობლემის წინაშე,. არსებობს საზოგადოებრივი აზრი, რომ ტრადიციული ტომის კულტურა სკოლის პროგრამაში უნდა იყოს ჩართული (Nekha, 2015). თუმცა პრობლემას ქმნის ოფიციალურად განათლებული მასწავლებლებისა და სწავლების მეთოდების არარსებობა. თუმცა, ტურისტული პოტენციალის წყალობით, ნაგალენდის შტატის ხელისუფლებამ დაიწყო ნაგას ტომთა არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ხელმძღვანელი და 2000 წელს ჩატარა პირველი ფსტივალი სახელწიდებით „რქაცხვირების ფესტივალი“. გარდა ამისა, ყოველ დეკემბერში 10 დღის განმავლობაში, ყოველი ტომის ერთი სოფელი წარმოადგენს თავის ტრადიციულ მუსიკას,

<sup>1</sup> ადამიანის მოკვლის შემდევ თავის მოკვეთისა და შენახვის ტრადიცია. გავრცელებული იყო უმთავრესად აზის, ამერიკისა და ძველი ევროპის ზოგიერთ ხალხში. მსგავსია საქართველოს აღმოსავლეთი მთიანეთში გავრცელებული ტრადიციისა, რომლის თანახმად მტერს მოკვლის შემდევ მკლავს კვეთდნენ და ინახავდნენ.

ცეკვას, თამაშებს, რიტუალებსა და სამზარეულოს ე.წ. „ნაგას მემკვიდრეობის სოფელში“, რომელიც შტატის ხელისუფლების მიერაა მოწყობილი. ეს ხელს უწყობს კონფლიქტურ წარსულთან კავშირის აღმოფხვრას, ადგილობრივი ეკონომიკის გამოცოცხლებასა და ახალგაზრდების დანტერესებას საკუთარი ტომის კულტურით. თუმცა, ტრადიციების აღორძინების პროცესში იგრძნობა სოფლების არათანაბარი ძალისხმევა და მოტივაცია. გარდა ამისა, ტრადიციულ ცეკვებთან და თამაშებთან შედარებით, ლის პოლიფონიის შენახვა და გადაცემა დამატებით შესწავლას მოითხოვს.

### **დასკვნა**

ჩახესანგ-ნაგას ლის პოლიფონიური ტრადიცია თაობიდან თაობას გადაეცემა. ლის რეპერტუარი ორგვარია: თაგისუფალი რიტმის ლი და პულსირებული რიტმის ტატი, რომლებიც ყოველთვის პოლიფონიურად იმღერება. ამავდროულად, მელოდია ჰარმონიზებულია წმინდა კვარტებისა და კვინტების ინტერვალების გამოყენებით. სიმღერების ტექსტები ჩოკრის ენაზე შექმნილია ფიქსირებული ლექსებისგან, რომლებიც 4 და 5 მარცვლიანი, ორი, ურთიერთმონაცვლე ფრაზისაგან შედგება. ერთობლივი მღერა ითვლება დადებითი სოციალური ურთიერთობების მხარდაჭერისა და მუშაობის ტრადიციულ სისტემაზე ზრუნვის საშუალებად, რის გარეშეც შეუძლებელია სოფლური ცხოვრება. და ბოლოს, ტრადიციული პოლიფონია ლი მნიშვნელოვან სოციალურ როლს თამაშობს ჩახესანგ-ნაგას სოფლის მკვიდრთა შორის ინტერპრესონალური თანამშრომლობის ჩამოყალიბებაში.

Covid-19-ის პანდემიის გამო, 2020 წლის მარტიდან ნაგალენდი იმყოფება იზოლაციის, რომელიც ხანგრძლივი დროით გაგრძელდება. ჩახესანგის ნაგას ახალგაზრდები, რომლებიც ქალაქებში იყვნენ განათლების მისაღებად, დაუბრუნდნენ საკუთარ სოფლებს და ახლა სოფლის მეურნეობითარიან დაკავებული. მე გავაგრძელებდი ჩემს კვლევებს იმაზე ფოკუსირებით, თუ როგორ იმოქმედებს ეს მოვლენა ტრადიციული კულტურისა და პოლიფონია ლის მემკვიდრეობითობაზე მომავალში. გარდა ამისა, ჩვენ ვაპირებთ, შევისწავლოთ ლი სხვა სოფლებშიც ადგილობრივ მუსიკოსებთან ერთობლივი კვლევის ფარგლებში და არ დავმშუროთ ძალისხმევა, რომ ვაქციით ლი საგანმანათლებლო რესურსად მისი ჰარტიტურების კრებულის პუბლიკაციითა და საგანმანათლებლო დაწესებულებებში გავრცელებით.

### **შენიშვნა**

ყველა ფოტო, სურათი და სანოტო მაგალითი ავტორს ეკუთვნის. 2, 3, 5, .6, 7 სანოტო მაგალითებზე წარმოდგენილი სიმღერები და ტექსტები ჩაწერილია ავტორის მიერ სოფელ ტიფუზუში, 2013-2015 წლებში. სანოტო მაგალითი 4 მომანოდა ჩახესანგის კულტურის კვლევის ცენტრმა. ამ წაშრომის მხარდამჭერია გრანტი JSPS KAKENHI. გრანტის № JP16K02242.